

„ლურჯი მოცვის ბაღების მონიტორინგი და მართვა საქართველოში“

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევით ცენტრში 2023 – 2025 წლებში განხორციელდა სამეცნიერო პროექტი FR- 22-697 „ლურჯი მოცვის ბაღების მონიტორინგი და მართვა საქართველოში.“

ლურჯი მოცვი საქართველოში პირველად შემოტანილი იქნა 2006 წელს. მისი ფართობი 2022 წლამდე იყო 1460,66 ჰა. დღეის მონაცემებით ფართობი შეადგენს 3000 ჰა. მოცვის განაშენიანებას კომერციული თვალსაზრისით მხარს უჭერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამა „დანერგე მომავალი“.

ლურჯი მოცვი მიეკუთვნება მანანისებრთა ოჯახს და მოცვისებრთა გვარს, რომელშიც გაერთიანებულია საქართველოში გავრცელებული ლურჯი მოცვიც. მოცვი მრავალწლიან ბუჩქოვან, კენკროვან მცენარეს წარმოადგენს. ლურჯი მოცვის ნაყოფი მდიდარია შაქრებით (გლუკოზა, ფრუქტოზა), კატეხინებით, პექტინებით, მთრიმლავი ნივთიერებით, ვაშლის, ლიმონის, რძის მჟავებით, ფლავონოიდებით, ასკორბინის მჟავათი, B,C და D ვიტამინებით, მიკრო და მაკრო ელემენტებით და სხვა სასარგებლო ნაერთებით. გამოიყენება არა მხოლოდ საკვებად, არამედ ფარმაკოლოგიასა და მედიცინაში კარდიოლოგიური, თვალის, დიაბეტისა და სხვა დაავადებების სამკურნალოდ. შესაბამისად, მსოფლიო ბაზარზე ლურჯი მოცვი მაღალი მოთხოვნით სარგებლობს.

ლურჯი მოცვი კარგად არის ადაპტირებული სხვადასხვა კლიმატურ პირობებთან. მისი გაშენებისთვის აუცილებელია ტენიანი, მსუბუქი და კარგი დრენაჟის მქონე, მჟავე რეაქციის ნიადაგი. ასეთი ნიადაგები გვხვდება დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით შავი ზღვისპირა ზოლში — აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში და მცირე ფართობზე იმერეთში.

საქართველოში, გავრცელებული მოცვის 17 ჯიშიდან საადრეოა ექვსი: **ონილი, დიუვი, სვითჰარტი , კოლიბრი, ჰანას ჩოისი**. მიუხედავად იმისა, რომ ნერგები ძირითადად იმპორტირებულია და ხასიათდება დაავადებებისადმი გამძლეობით, მოცვის ბაღებში გამოვლინდა მავნებელ-დაავადებები, რაც საჭიროებდა მათი გამოვლენის, შეფასებისა და ინტეგრირებული დაცვის მართვის სქემის შემუშავებას.

პროექტის ფარგლებში ლურჯი მოცვის ბაღებში ფიტოსანიტარული კვლევები ჩატარდა დასავლეთ საქართველოს წარმოების ძირითად რეგიონებში — გურიის, სამეგრელოს, აჭარისა და იმერეთის მუნიციპალიტეტებში. კვლევები განხორციელდა ინტერდისციპლინარული და მულტიდისციპლინარული მიდგომებით, გამოყენებულ იქნა კომპლექსური, თანამედროვე და ინოვაციური მეთოდები სანდო შედეგების მისაღებად და IPM-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ფიტოსანიტარული კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დაავადებები: ანთრაქნოზი, მოცვის ჟანგა, ალტერნარიოზი, ნაცრისფერი სიდამპლე, ჰომოფსისი, ნაცარი, ბაქტერიული კიბო და ფოთლების ბაქტერიული სიდამწვრე.

მავნებლებიდან დაფიქსირდა: ივნისის ღრაჭა, ბურტყლა ბუგრი, ფოთოლხვევიები, ფარიანები, ლურჯი მოცვის მეგალე და ინვაზიური მავნე მწერი - დროზოფილა სუზუკი, რომელიც კენკროვნების ერთ-ერთი ყველაზე საშიში მავნებელია.

სარეველებიდან გავრცელებულია ერთწლიანი და მრავალწლიანი მარცვლოვანი და ორლებნიანი სახეობები: ძურწა მწვანე, მხოხავი ჭანგა, ბირკა ღორის, ხვართქლა, ავშანფოთლიანი ამბროზია, მამულა, რძიანა და საკარანტინო სარეველა - ძაღლყურმენა კაროლინა.

ფერმერები მნიშვნელოვან პრობლემად ასახელებდნენ ნიადაგის ნაყოფიერების არასათანადო დონეს. აღნიშნული საკითხი საჭიროებდა რეგულარულ შესწავლასა და კვლევის საფუძველზე განოყიერების სისტემის შერჩევას. ჩატარებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღებასა და პროდუქტიულობის ზრდას.

კვლევის ძირითადი შედეგები

კვლევის შედეგად მივიღეთ მნიშვნელოვანი შედეგები:

- გამოვლინდა ეკონომიკური მნიშვნელობის მავნე ორგანიზმები და დამუშავდება მათი მართვის ექსკლუზიური სქემა;
- დადგინდა მავნე მწერების, დაავადებების, სარეველების დაზიანების ინტენსივობა;
- დადგინდა მავნე ორგანიზმების სახეობები;
- დადგინდა სახეობებში გამოვლენილი იქნა ბუნებრივი მტრები;
- მოხდა ქიმიური და ბიოლოგიური პესტიციდების კომბინირებული ნაზავების შერჩევა;
- დადგინდა ეფექტური პესტიციდების ფიტოტოქსიკურობა სამიზნე ობიექტების მიმართ;
- შეფასდა ნიადაგის ნაყოფიერება და საკვები ელემენტებით მცენარის უზრუნველყოფის დონე, გაზაფხულზე ვეგეტაციის დასაწყისში და შემუშავდა მისი გაუმჯობესების ღონისძიებები.
- შერჩეული პესტიციდების კომბინირებული ნაზავების გამოყენებისას შემცირდა პესტიციდების საჰექტარო დატვირთვა გარემოზე.
- შედგენილ იქნა ფენოკალენდარული სქემა - შესხურების ვადების, ჯერადობისა და რეგლამენტირებული ხარჯვის ნორმების გათვალისწინებით.
- მონაწილეობა იქნა მიღებული საერთაშორისო ფორუმებში.
- მომზადდა პუბლიკაციები, რეკომენდაციები, საინფორმაციო ბუკლეტი, რომლებიც ხელმისაწვდომია ფერმერებისა და დაინტერესებული პირებისათვის.

სამომავლო რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია:

- ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე, ლურჯი მოცვის მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ აუცილებელია ჩატარდეს აგროტექნიკური ღონისძიებები, დროულად მაღალ დონეზე, რაც უზრუნველყოფს მცენარის განვითარების გაძლიერებას და შესაბამისად გამძლეობის გაზრდას მავნე ორგანიზმების მიმართ;
- აგროტექნიკური ღონისძიებებიდან საჭიროა ნიადაგის სწორი დამუშავება, რწყვის რეგულირება და მცენარეთა ბალანსირებული კვება. ეს უკანასკნელი უნდა ჩატარდეს მცენარის მოთხოვნილების შესაბამისად ნიადაგის და/ან მომზადებული სუბსტრატის ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლების გათვალისწინებით;
- სანიტარულ - ჰიგიენური ღონისძიებებიდან უნდა ჩატარდეს გამხმარი ტოტების შეჭრა ნაკვეთიდან გატანა და დაწვა. გამხმარი მცენარეები, ფესვებიანად უნდა ამოიძირკვოს და ნაკვეთიდან უნდა იქნას გატანილი. ორმოები, რამოდენიმე დღე (10 – 12) ღიად უნდა დარჩეს განიავებისა და გამომშრობის მიზნით;
- ვეგეტაციის პერიოდში უნდა ჩატარდეს 4 – 5 კულტივაცია, 5 – 6 წლის შემდეგ ნიადაგის დაკორდება მრავალწლიანი ბალახებით. ნიადაგის ნაყოფიერების, მისი სტრუქტურის გაუმჯობესების და სარეველებთან ბრძოლის მიზნით საუკეთესოა სიდერატების (მწვანე სასუქი) დათესვა. სიდერატებად გამოიყენება ბარდა, ხანჭკოლა, ცულისპირა, ცერცვი . მათი დათესვა ხდება შემოდგომაზე, ხოლო გაზაფხულზე ჩაიხვენება ყვავილებისა და პარკების ფორმირებისას, ასევე მნიშვნელოვანია ნიადაგის მულჩირება. მულჩირება საგრძნობლად უწყობს ხელს მცენარის ზრდა-განვითარებას, იცავს მას სარეველებისაგან და გადახურებისაგან, ინარჩუნებს ტენს და ნიადაგს ამდიდრებს ორგანული ნივთიერებებით;
- მავნე ორგანიზმებისადმი მცენარეთა გამძლეობის გაზრდის მიზნით, უნდა ჩატარდეს მათი გამოკვება გაზაფხულზე, უპირატესად ორგანული წარმოშობის სასუქებით და სტიმულატორებით;
- გარდა აგროტექნიკური და სან-ჰიგიენური ღონისძიებებისა, მავნე ორგანიზმების მიმართ უნდა ჩატარდეს დაცვის ღონისძიებათა ინტეგრირებული სისტემა, რომელიც დამუშავებული იქნა ჩვენს მიერ, ფენოკალენდარული სქემის სახით.